ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№48

ქ. თბილისი; 16 აგვისტო 2019 წ. 10 : 00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ქეთევან მამულაშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ნინო ლაცაბიძე
თინათინ ნიბლოშვილი
ავთანდილ ცინცაძე
ნინო რუხაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი - ნინო კვეტენაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე -ვასილ აბულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი - ნუცა ცქიტიშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი -გიორგი ებანოიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - თინათინ ყოლბაია

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.18.03.033.012; N01.18.03.033.010; N01.18.03.015.016; N01.18.03.015.019; N01.18.03.015.014 და N01.18.03.033.011 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების პროექტები.

4. „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით, „რიყე-ნარიყალა" და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა" მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით, (M3კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტი.

5. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

6. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3კატეგორიის

ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

7. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისში, ზერი გაბრიელ სალოსის გამზირის V შესახვევის N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.046) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. "ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივის VI კვარტალის კორპუსი N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.010.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. „ქალაქ თბილისში, თემქის დასახლების IV მიკრორაიონში, კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.02.004.010.01.025) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. "ქალაქ თბილისში, ჟორესის ქუჩა N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.22.003.022.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. "ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, სახლი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.005.051.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით

პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. “ქალაქ თბილისში, მუხიანი-თემქის გადასასვლელის მიმდებარედ არსებული 644 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.11.17.004.430) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №128-142-ის მიმდებარედ არსებული 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.13.08.009.074) 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სოფიო ზაქარიაშვილისთვის (პ/ნ: 01005004689) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული 21 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ:01.16.05.032.019) 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს “გეორგიოს ყავასთვის“ (ს/ნ: 402072047) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.14.003.201) 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის სს “ვენჯორჯიასთვის” (ს/ნ: 404885335) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. “ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №64-74-ის მიმდებარედ არსებული 3190 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.002.622) 25 კვ.მ. ფართობის და 19 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით სს „ლიბერთი ბანკისთვის“ (ს/ნ: 203828304) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. “ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე, 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.14.04.030.042) და ქალაქ თბილისში, სანაპიროს ქ.N2-ში მდებარე 818 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ:N01.18.03.003.031) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, მე-3 მ/რ-ში მდებარე 3191 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.08.006.651) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების და №01.10.16.006.115 საკადასტრო ერთეულზე რეგისტრირებული

ვალდებულების გაუქმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქონების მართვის სააგენტოს, 2018 წლის 17 ოქტომბრის პირობებით გამოცხადებული აუქციონის N-428-26-22761 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

22. „ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს“ (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

23. “ქალაქ თბილისში, ზემო ვერა (N1)-ში არსებული 146 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 124 კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.15.02.060.032) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

24. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.15.01.003.045; N01.15.06.001.061; N01.15.01.003.048; N01.15.06.001.060; N01.15.01.003.046; N01.15.06.002.021; N01.15.06.002.020 და N01.15.01.003.043 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

25. “ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ჭადრაკის დამსახურებული მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

26. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ავშნის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მალხაზ ჯღარკავას სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

27. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ავჭალის ქუჩასთან მდებარე ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის გეოლოგის არსენ ოქროჯანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

28. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ლამის ქუჩის მონაკვეთისთვის, ლამის I შესახვევისთვის და ლამის III შესახვევისთვის ლამის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

29. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, V ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის რევაზ ბებიას სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

30. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, V ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გელა მინდიკაურის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

31. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ნოდარ (ვეფხო) მათიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

32. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ოთარ ოძელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

33. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ტარიელ გვიმრაძის ქუჩის გაგრძელების სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

34. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

35. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მარშალ იოზეფ პილსუდსკის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზურაბ პატარაძის სახელის მინიჭების შესახებ“ შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

36. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოფანე დავითაიას ქუჩასთან არსებული უსახელო მოედნისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ზურაბ პატარაძის ქუჩისთვის მარშალ იოზეფ პილსუდსკის სახელის მინიჭების შესახებ“ შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა. თავმჯდომარემ, დღის წესრიგში არსებული ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დააყენა წინადადება, დღის წესრიგით გათვალისწინებულ განსახილველ საკითხებს პირველ ნომრად დაემატოს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.18.03.033.012; N01.18.03.033.010; N01.18.03.015.016; N01.18.03.015.019; N01.18.03.015.014 და N01.18.03.033.011 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

კომისია დაეთანხმა თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ წინადადებას.

აღნიშნული წინადადების გათვალისწინებით, თავმჯდომარემ კომისიის წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.18.03.033.012; N01.18.03.033.010; N01.18.03.015.016; N01.18.03.015.019; N01.18.03.015.014 და N01.18.03.033.011 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, წინამდებარე საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, სიმბოლური ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, საგაზაფხულო გამწვანებითი სამუშაოების ჩატარების, მოწესრიგებისა და მოვლა-პატრონობის მიზნით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი; 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი; ასევე, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტი. აგრეთვე, საკრებულოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს აცნობა, რომ საკრებულოს წევრმა - ოთარ გრიგოლიამ განცხადებით გამოთქვა სურვილი ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან

გასვლისა და ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე.

ასევე, საკრებულოს წევრმა - ნინო ლაცაბიძემ გამოთქვა სურვილი იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობიდან გასვლისა და ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიაში შესვლის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა - მიხეილ ამაშუკელმა განცხადებით და გამოთქვა სურვილი ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის შემადგენლობიდან გასვლისა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში გაწევრიანების თაობაზე.

აგრეთვე, ალექსანდრე ხუჯაძემ სურვილი გამოთქვა ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობიდან გასვლისა და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში გაწევრიანების თაობაზე.

როგორც თავმჯდომარემ აღნიშნა, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ მოამზადა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი, რაც თან დაერთვება კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ დასკვნაზე დანართის სახით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი განხილულ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა - გიორგი ებანოიძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების პროექტები.

მომხსენებლის განმარტებით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით 73-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილია, სარევიზიო ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტები, კერძოდ სარევიზიოა, დიდი დიღმის ტერიტორიაზე,

რაგბის კომპლექსის მიმდებარედ, წოწორას ხევის მახლობლად. ასევე, 73-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია, სარევიზიო ქალაქთმშენებლობითი (განაშენიანების რეგულირების გეგმები/გეგმარებითი დავალებები) დოკუმენტები, კერძოდ სარევიზიოა, ლისის ტბის დასავლეთით, ბუდაპეშტის ქუჩის მიმდებარედ.

მომხსენებლის თქმით, ცვლილება შედის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში, კერძოდ დადგენილების დანართი 2-ით გათვალისწინებული სარევიზიო ქალაქთმშენებლობების დოკუმენტების ნუსხიდან ხდება „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული არეალების ამოღება, დაინტერესებული პირების: შპს „ნიუ ფორს კონსტრაქშენის“, შპს „ვივა თაუერისა და მოქალაქე გუბაზ ლაბარტყავას წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

მომხსენებელმა თქმით, შპს „ნიუ ფორს კონსტრაქშენისა“ და შპს „ვივა თაუერსის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები მდებარეობს დიდი დიღმის დასახლებაში, ველოტრეკის მიმდებარე ტერიტორიაზე სადაც დაგეგმილია საცხოვრებელი უბნის განთავსება. **პროექტით ასევე გათვალისწინებულია გიორგი V ბრწყინვალეს ქუჩის გაგრძელების მოწყობა და მისი დაკავშირება თეიმურაზ I-ის ქუჩასთან.** ბატონი გიორგის თქმით, აღნიშნულ ტერიტორიაზე დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმას მიენიჭა სარევიზიო სტატუსი, ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე კოლექტორთან დაკავშირებით.

ასევე მომხსენებლის თქმით, ტერიტორიაზე მოქმედებს წოწორას ხევის შეზღუდვა და რევიზიის მიზანი გახლდათ სწორედ დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისობა ტერიტორიაზე გამავალ წოწორას ხევის შეზღუდვის არეალთან.

როგორც საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილია განახლებული ტოპოგრაფიული გეგმა, სადაც დატანილია წოწორას ხევის კოლექტორი, ამასთანავე, წარმოდგენილია შპს "თბილსერვის ჯგუფის" პოზიცია, რომლის მიხედვით, ნებისმიერი შენობა-ნაგებობა სანიაღვრე კოლექტორიდან დაშორებული უნდა იქნეს არა-ნაკლებ 5 (ხუთი) მეტრისა.

გიორგი ებანოიძის თქმით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურისა და მუნიციპალურ ინსპექციის მიერ ჩატარებული რევიზიის ფარგლებში დადგინდა, რომ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი შენობათა განთავსება დაგეგმილია ხევის გათვალისწინებით და სანიაღვრე კოლექტორი არ ემთხვევა სამშენებლო ტერიტორიას. მისივე თქმით, სამშენებლო პროექტში ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს წოწორას ხევის შეზღუდვები.

რაც შეეხება გუბაზ ლაბარტყავას საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ ლისში, ჭაობთან არსებულ მიწის ნაკვეთებს, **მომხსენებლის** თქმით, ტერიტორიაზე მოქმედი განაშენიანების რეგულირების გეგმა ასევე მიეკუთვნება სარევიზიო

პროექტთა ჩამონათვალს, ლისის ტბის მკვებავ არეალთან დაკავშირებით. ბატონი გიორგის განმარტებით, ტერიტორიაზე განსაზღვრულია რამდენიმე პროექტის განხორციელება, მიწის ნაკვეთების გამიჯვნა და მათზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განთავსება. გიორგი ებანოიძის განმარტებით, ტერიტორიაზე მოხდა ერთიანი რეგისტრაციების შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ცალკეულ მიწის ნაკვეთებად გამიჯვნა, რის შემდგომაც 23 ერთეულ ნაკვეთზე შეთანხმებულია არქიტექტურული ობიექტი და გაცემულია შესაბამისი მშენებლობის ნებართვა. აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს ლისის ტბის შესაბამის „A" არეალში სადაც, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია განაშენიანების რეგულირების გეგმებით. ბატონი გიორგის თქმით, ჩატარებული ჰიდროგეოლოგიური კვლევის შესაბამისად, ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ლისის ტბის მკვებავი მიწისქვეშა არხები.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნულ ტერიტორიებზე განაშენიანება, არქიტექტურული პროექტების შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა შესაძლებელია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებში ცვლილებების განხორციელების გარეშე, შესაბამისად, მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმების სარევიზიო დოკუმენტაციის ნუსხიდან ამოღება.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი დადგენილებების პროექტების სამართლებრივ საფუძვლებში ასევე მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ასევე, მიზანშეწონილია წარმოდგენილი დადგენილებების პროექტების პირველ მუხლში გამოქვეყნების თარიღად მიეთითოს: „20/03/2019".

თავმჯდომარის თქმით, რამდენადაც, წარმოდგენილი დადგენილებების პროექტებით ცვლილება ხორციელდება ერთსა და იმავე აქტში, მიზანშეწონილია წარმოდგენილი დადგენილებების ცვლილების პროექტები გაერთიანდეს და მიღებულ იქნას ერთი აქტის სახით, რომელშიც ასახული იქნება დადგენილების დანართი 2-ის 73-ე მუხლის მე-3 პუნქტის როგორც „ა" ქვეპუნქტის, ისე, „გ" ქვეპუნქტის ამოღების საკითხი.

წარმოდგენილ შენიშვნებს/წინადადებას დაეთანხმა საკითხის წარმომდგენი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილებების პროექტებს და მითითებული შენიშვნების/წინადადების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით, „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით, (M3კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად, ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მეტროთი მგზავრობისას, მგზავრობის საფასურის გადახდა გარდა, სამგზავრო პლასტიკური ბარათისა, შესაძლებელი იქნება ასევე გადახდის სხვა საშუალებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე ცვლილება შედის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N20-81 დადგენილებაში და დადგენილების მე-3 მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით.

საკითხის წარმომდგენის თქმით, აღნიშნული ტრანსპორტით მგზავრობისას, მგზავრობის საფასურის გადახდა თანამედროვე მეთოდებით, საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდია, რაც კომფორტულად მგზავრობისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საწინდარია.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **ვასილ აბულაძემ**, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს აწარმოებს განათლების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ– **განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა**. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამის ცვლილებებს საჭიროებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა უფასო ან შეღავათიანი მგზავრობის უფლებით სარგებლობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ნაწილში.

როგორც **მომხსენებელმა** განმარტა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის პირველი მუხლი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **ვასილ აბულაძემ**, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება შედის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №19-70 დადგენილებაში, რომლის შესაბამისად, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებით ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა გამოიწვევს მგზავრის დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **ვასილ აბულაძემ**, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 3 იანვარს მიიღო №37 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობისა და საფასურების“ დამტკიცების თაობაზე“. ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლის მიხედვით იგი ადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო ინსპექტირების პერიოდულობასა და საფასურებს შესაბამისი კატეგორიისა და დანიშნულების მიხედვით და რეგლამენტში მოყვანილი მოთხოვნები ვრცელდება საქართველოს

ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში არსებულ დადადგენილი წესით რეგისტრირებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, რეგლამენტის მე-5 მუხლის თანახმად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობა განსაზღვრულია მათი კატეგორიების მიხედვით, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 6 მაისის 2009/40/EC დირექტივის – „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების შესახებ" საფუძველზე, საქართველოში არსებული საავტომობილო პარკის, საგზაო ინფრასტრუქტურისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სერვისის სისტემის მდგომარეობის გათვალისწინებით, დანართი №2-ს მიხედვით კი M_1 კატეგორიის ტაქსებისთვის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობაა„ ერთი წლის შემდეგ გამოშვების თარიღიდან და შემდეგ ექვსთვეში ერთხელ".

ვასილ აბულაძის თქმით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №24-80 დადგენილებაში, კერძოდ, დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლს ემატება მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ სატრანსპორტო საშუალებაზე ნებართვა გაიცა პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გავლის შემდეგ, სატრანსპორტო საშუალება ტექნიკურ ინსპექტირებას ექვემდებარება ტაქსისთვის დადგენილი პერიოდულობით, რომლის ათვლაც დაიწყება ზემოაღნიშნული ნებართვის გაცემის დღიდან, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გაუვლელობის შემთხვევაში ნებართვის მფლობელს უუქმდება ნებართვა.

ასევე, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტს ემატება „ზ^1" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით ნებართვა შეიძლება ვადის გასვლამდე გაუქმებულ იქნეს, თუ სატრანსპორტო საშუალებაზე გაცემულია ნებართვა და კანონმდებლობის შესაბამისად არ აქვს გავლილი ტექნიკური ინსპექტირება ტაქსებისთვის დადგენილი პერიოდულობით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია ტექნიკურად გაიმართოს პროექტით წარმოდგენილი მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ¹" ქვეპუნქტის ფორმულირება და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა - ნუცა ცქიტიშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №35-118 დადგენილებაში, კერძოდ, იცვლება დადგენილებით დამტკიცებული „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს ქვეპროგრამის მოსარგებლე პირთა წრეს. ცვლილების შედეგად, ქვეპროგრამის მოსარგებლეები ასევე შეიძლება იყვნენ ის პირები, რომელთაც ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის V შესახვევის N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.046) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქეებისთვის: ნუგზარი დავითაშვილი, მისაილ გუმბერიძე, ანა მეუნარგია, ირაკლი მაისურაძე და სოფიკო რატიანისთვის, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე მდებარე უძრავი ქონების, სიმბოლური ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ფლობენ აღნიშნულ უძრავ ქონებას.

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებაში არსებული უძრავი ნივთი წარმოადგენს ყოფილ კავშირგაბმულობის შენობას, რომელშიც მცხოვრებ 20 ოჯახს 2012 წელს ბინები

გადაეცათ საკუთრებაში, სიმბოლურ ფასად 1 ლარად. დღეის მდგომარეობით დარჩენილია 5 (ხუთი) ოჯახი, რომლებიც ადგილზე ცხოვრობენ დაახლოებით, 2000-2003 წლიდან.

საკითხის წარმომდგენის თქმით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია ისნის რაიონის გამგეობის შუამდგომლობა, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე მცხოვრები 5 (ხუთი) ოჯახისთვის მათ მიერ 2000 წლიდან ფაქტობრივი მფლობელობით დაკავებული საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივის VI კვარტალის კორპუსი N9-ში (**საკადასტრო** კოდი: N01.19.20.030.010.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, სოციალურად დაუცველი მოქალაქისთვის - ლევან ბერაიასთვის (პ/ნ 46001004890), ქ.თბილისში, ვარკეთილის დასახლება III მასივში, VI კვარტალი, კორპუსი N9-ში, I სართულზე არსებული 91.02 კვ.მ ფართის, სიმბოლური ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს წერილისა და მოქალაქე ლევან ბერაიას მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით დასტურდება, რომ აღნიშნული მოქალაქე მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2010 წლიდან დღემდე.

დასასრულს, ქალბატონმა კვეტენაძემ განმარტა, რომ საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, ლევან ბერაიასა და მის ოჯახის წევრებზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ შემდგომში, ნებისმიერი დავის თავიდან აცილების მიზნით, უმჯობესია დაინტერესებაში არსებული ქონება დაუკანონდეს მთელს ოჯახს და არა ოჯახის რომელიმე წევრს.

ბატონი ლევანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური: „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად".

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, თემქის დასახლების IV მიკრორაიონში, კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.02.004.010.01.025) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, იაკობ აბრამაშვილისთვის (პ/ნ: 01021001359), ქ.თბილისში, თემქის დასახლების IV მიკრორაიონში, კორპუს N5-ში მდებარე - 17კვ/მ ფართის, სიმბოლური ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძის თქმით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს წერილით დასტურდება, რომ იაკობ აბრამაშვილი 12 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. ასევე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იმედი“-ის კრების ოქმის მიხედვით, დაინტერესებული პირი 2003 წლიდან დღემდე ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

დასასრულს საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია ნაძალადევის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების იაკობ აბრამაშვილისათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური: „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ჟორესის ქუჩა N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.22.003.022.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, არადევნილის სტატუსის მქონე მოქალაქე- თინათინ ბიბილაშვილისთვის (პ/ნ 41001024153), ქ.თბილისში, ჟორესის ქუჩა N13-ში მდებარე, 34.49კვ.მ ფართის სიმბოლური ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძის თქმით, თინათინ ბიბილაშვილი გახლავთ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პირი, რომელიც 2011 წლიდან დღემდე ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე. მისივე თქმით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს წერილის თანახმად, თინათინ ბიბილაშვილი 7 წელია ცხოვრობს დაინტერესებაში არსებულ ფართში.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილების მიხედვით, მოქალაქე თინათინ ბიბილაშვილზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური: „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად".

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, სახლი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.005.051.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, არადევნილის სტატუსის მქონე მოქალაქე ბაჩანა ბერბიჭაშვილისთვის (პ/ნ 01028006579) ქ.თბილისში, ლილოს დასახლებაში, სახლი N2, სართული 2, ბინა N10-ში მდებარე, 54.07 კვ.მ

ფართის, სიმბოლური ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხსენებლის თქმით, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადების, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს წერილისა და ასევე სამგორის რაიონის გამგეობის თანამშრომლის შემოწმების აქტის თანახმად, დაინტერესებული პირი 1986 წლიდან დღემდე, ნამდვილად ცხოვრობს მისამართზე: ქ.თბილისი, ლილო, ხილბოსტანვაჭრობის ქუჩა N10-ი.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილის თანახმად, მოქალაქე ბაჩანა ბერბიჭაშვილზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური: „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, მუხიანი-თემქის გადასასვლელის მიმდებარედ არსებული 644 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.11.17.004.430) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, შპს „მუხიანი 2002"-ს ადრეულ წლებში სარგებლობაში გადაეცა 1,42 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, ავტოსამრეცხაო და ავტოტექმომსახურების ცენტრის მოსაწყობად. შემდგომში შპს „მუხიანი 2002"-მა მიმართა მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას, სარგებლობაში დარჩენილი მიწის ნაკვეთების დაკანონების მიზნით. საკუთრებად აღიარებულ ერთ-ერთ ნაკვეთზე (644 კვ.მ) ვერ განხორციელდა კომპანიის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, პროკურატურის მიერ მასალების ამოღების და გამოძიების გამო. ამ მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე, შემდგომში, ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად დარეგისტრირდა 727 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.11.17.004.145) და აუქციონით იქნა გასხვისებული. კომპანიის მხრიდან მოხდა ქალაქ თბილისის მერიის მაშინდელი ხელმძღვანელობის ინფორმირება აღნიშნულის შესახებ. აუქციონში გამარჯვებულისთვის სხვა უძრავი ქონების გადაცემასთან დაკავშირებით მიღებული იყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი დადგენილება, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა ბოლომდე ვერ განხორციელდა.

ამასთან, ქალბატონმა ნინომ განმარტა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2008 წელს გაცემული საკუთრების უფლების მოწმობით გათვალისწინებული 644 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრები დადგენილია შეცდომით. იგი მოიცავს პოლიციის და მის მიმდებარე საზოგადოებრივი დატვირთვის ტერიტორიას, რომელიც დაცილებულია ადრეულ წლებში თბილისის ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებებით სარგებლობაში გამოყოფილი ტერიტორიისგან.

მომხსენებლის განმარტებით, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისში, მუხიანი-თემქის გადასასვლელის მიმდებარედ არსებული 644 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „მუხიანი 2002"-სთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემა, იმ პირობით, რომ კომპანია უარს განაცხადებს მის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე და დათმობს სარჩელში სადაოდ გამხდარ საკითხთან დაკავშირებულ ყველა სახის მოთხოვნასა და უფლებას (მათ შორის, ზიანის, ზარალის და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე). ასევე, ქ. თბილისის საკრებულოს მიერ 2008 წელს გაცემულ საკუთრების უფლების მოწმობით გათვალისწინებულ 644 კვ.მ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით დათმობს ყველა სახის მოთხოვნასა და უფლებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ. ასევე, უარს განაცხადებს აღნიშნული მიწის ნაკვეთის საკუთრებად რეგისტრაციის მოთხოვნაზე. ამასთან, კომპანია უვადო სერვიტუტით დატვირთავს მის საკუთრებაში არსებულ (ს/კ: #01.11.17.004.327) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილს, კერძოდ 322 კვ.მ ფართობის მიწას, რომელიც, მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებლებისთვის მოიაზრება, როგორც მათ საცხოვრებელ სახლებამდე მისასვლელი სამანქანო გზა.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში ჩაემატოს დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური: „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №128-142-ის მიმდებარედ არსებული 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.13.08.009.074) 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სოფიო ზაქარიაშვილისთვის (პ/ნ: 01005004689) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, სოფიო ზაქარიაშვილისთვის, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 5 (ხუთი) წლით.
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვრება - 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ აღნიშნულ მოქალაქეს საკუთრებაში აქვს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №130/132-ის 1 სართულზე არსებული 42 კვ.მ. ფართს.

ასევე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შპს „სანჯაჭულა 1" (ს/ნ: 404553700), იყო დაინტერესებული აღნიშნული ფართის მისთვის იჯარის ფორმით გადაცემით, თუმცა შემდგომ უარი განაცხადა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული 21 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ:01.16.05.032.019) 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს "გეორგიოს ყავასთვის" (ს/ნ: 402072047) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს "გეორგიოს ყავასთვის" ქ.თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 1 ნოემბრამდე;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვრება - 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ აღნიშნული კომპანია იჯარის უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №18-20-შიმდებარე 38.18 კვ.მ ფართს 2019 წლის 1 ნოემბრამდე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.14.003.201) 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის სს "ვენჯორჯიასთვის" (ს/ნ: 404885335) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, სს "ვენჯორჯიასთვის" ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედება განისაზღვრება 2022 წლის 31დეკემბრამდე.
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვრება - 5400 (ხუთი ათას ოხასი) ლარის ოდენობით.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ „ვენჯორჯია" იჯარის უფლებით ფლობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37ლ-ში მდებარე 743,6 კვ.მ ფართს 2022 წლის 31დეკემბრამდე.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შესაძლოდ მიიჩნია აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს მოწყობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №14-39 დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №64-74-ის მიმდებარედ არსებული 3190 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.002.622) 25 კვ.მ. ფართობის და 19 კვ.მ.

ფართობის მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით სს „ლიბერთი ბანკისთვის“ (ს/ნ: 203828304) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, სს „ლიბერთი ბანკისთვის“ ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე არსებული 25 კვ.მ და 19 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, კიბის და პანდუსის მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედება განისაზღვრება 10 (ათი) წლით.
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვრება - 5400 (ხუთი ათას ოხასი) ლარის ოდენობით.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სს „ლიბერთი ბანკი“ საკუთრებაში ფლობს, ქალაქ თბილისში, ი,ჭავჭავაძის გამზირი N74-ში მდებარე უძრავ ქონებას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე, 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.14.04.030.042) და ქალაქ თბილისში, სანაპიროს ქ.N2-ში მდებარე 818 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ:N01.18.03.003.031) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე”ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, შპს ,,ნინამ“ და შპს ,,სუბიექტმა“ ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის მიმდებარედ არსებული 1010 კვ.მ (ს/კ: N01.10.16.004.222) და 1500 კვ.მ (ს/კ: N01.10.16.004.223) მიწის ნაკვეთები შეიძინეს აუქციონის წესით, სამშენებლოდ განვითარებისათვის. ნინო კვეტენაძის თქმით, აღნიშნული მიწის ნაკვეთები მდებარეობს მდინარე ვერეს ხეობაში დატბორვის ზონის მიმდებარედ. მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოაღნშნული კომპანიების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკუთრებაში მიღებას, ვინაიდან კერძო საკუთრების უფლება ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება იქცეს სტიქიური რისკის არეალში მოქცეულ ტერიტორიებზე შემდგომში საჭირო გადაწყვეტილებების მიღებისას.

როგორც **საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, აღნიშნული კომპანიების წარმომადგენლები აცნობიერებენ მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობიდან გამომდინარე რეალურ რისკებს და თანახმა არიან, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში მყოფი ნაკვეთები დათმონ ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთის და სანაპიროს ქ.N2-ში მდებარე 818 კვ.მ მიწის ნაკვეთის გადაცემის სანაცვლოდ.

რეგორც მიმხსენებელმა **განმარტა, გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთები შეფასდა** სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ექსპერტიზის დასკვნით;

- ✓ **N01.10.16.004.223** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება შეფასდა (რზ-2) სტატუსით და მისი საბაზრო ღირებულება, 2018 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 327 000 (სამას ოცდაშვიდი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხად ეროვნულ ვალუტაში (**888 238 ლარი**).

- ✓ **N01.10.16.004.222** საკადსტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება შეფასდა (რზ-2) სტატუსით და მისი საბაზრო ღირებულება, 2018 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 224 220 (ორას ოცდაოთხი ათას ორას ოცი) აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხად ეროვნულ ვალუტაში (609 116 ლარი).

- ✓ **N01.14.04.030.042** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2019 წლის 12 ივლისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 1 368 000 (მილიონ სამას სამოცდარვა ათასი) ლარით.

- ✓ **N01.18.03.003.031** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 818 კვ.მ მიწის ნაკვეთის შეფასებისას, დამკვეთის მიერ მოთხოვნილ იქნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს და სსიპ - არქიტექტურის სამსახურის მოთხოვნები, ასევე არანაკლებ 74 ავტომობილზე გათვლილი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობა, მისი ექსპლუატაციაში მიღება და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემა, ბანკის არსებობის ვადით. ამ დასკვნაში მოხსენიებულია 2018 წლის 19 თებერვლის N001100318 დასკვნაც, რომლითაც დადგენილია მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 837 553 (რვაას ოცდაჩვიდმეტი ათას ხუთას ორმოცდაცამეტი) აშშ დოლარის ოდენობით. კ2-ის შემცირების გამო (-42%) ღირებულება განსაზღვრულია 485 781 (ოთხას ოთხმოცდახუთი ათას შვიდას ოთხმოცდაერთი) აშშ დოლარით, ხოლო გასაწევი ხარჯები - 48 590 (ორმოცდარვა ათას ხუთას ოთხმოცდაათი) აშშ დოლარის ოდენობით (ინვესტორის მიერ პარკირებისთვის გასაწევი ხარჯები 24 თვის განმავლობაში50 ავტომობილზე). 74 ავტოსადგომის საბაზრო ღირებულებაგანსაზღვრულია 326 932 (სამას ოცდაექვსი ათას ცხრაას ოცდათორმეტი) აშშ დოლარის ოდენობით. აღნიშნულის გათვალისწინებით **N01.18.03.003.031** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 818 კვ.მ მიწის ნაკვეთის

საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 110 259 (ასათი ათას ორას ორმოცდაცხრამეტი) აშშ დოლარით, 299 530 (ორას ოთხმოცდაცხრამეტი ათას ხუთას ოცდაათი) ლარით.

ნინო კვეტენაძემ განაცხადა, რომ საპრივატიზებო საფასური განისაზღვრება წარმოდგენილი საექსპერტო შეფასებებით დადგენილ თანხებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობით 117 (ასჩვიდმეტი ათასი) ლარით. ამასთან, საპრივატიზებო პირობებად განისაზღვრა, რომ შპს „სუბიექტმა" მშენებლობის ნებართვის აღებიდან 24 თვის ვადაში, უნდა მოაწყოს და ექსპლუატაციაში მიაღებინოს არანაკლებ 74 ავტომობილზე გათვლილი ორ-დონიანი ავტოსადგომი, საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ასევე, იმ შემთხვევაში თუ ავტოსადგომის მოწყობა ნაწილობრივ/ან მთლიანად განხორციელდა 818 კვ.მ მიწის ნაკვეთზე შპს სუბიექტი ვალდებულია ეროვნულ ბანკს უსასყიდლოდ, სარგებლობაში გადასცეს ავტოსადგომი დღეს არსებულ მისამართზე ეროვნული ბანკის არსებობის ვადით.

გარდა ამისა, საკითხის წარმომდგენმა ითხოვა განკარგულებაზე თანდართული ხელშეკრულების 5.10 პუნქტში გარკვეული ცვლილების განხორციელება და მისი ჩამოყალიბება შემდეგი რედაქციით:

„5.10. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებოპირობის შესრულები სდასადასტურებლად, სააგენტოს უნდა წარედგინოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი მე-2 მუხლის 2.2. პუქნტის შესაბამისად, 3 თვის ვადაში."

მომხსენებლის აღნიშნულ წინადადებას დაეთანხმა კომისია.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტში ასევე მიეთითოს საპრივატიზებო საფასურის ოდენობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის/წინადადების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, მე-3 მ/რ-ში მდებარე 3191 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.08.006.651) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის

ვალდებულების გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში მდებარე 3191 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, ფანასკერტელის ქუჩის მიმდებარედ არსებული 816 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზებას, საპრივატიზებო საფასურით 310 000 (სამას ათი ათასი) ლარის ოდენობით.

როგორც **საკითხის წარმომდგენმა** აღნიშნა, მოქალაქე **მიხეილ ლიბსკაიტემ**, (პ/ნ: 37001028493) 816 კვ.მ. მიწის ნაკვეთი შეიძინა 2014 წელს აუქციონის გზით **228 480 ლარად.** ტერიტორიის 30%-ზე საზოგადოებრივი სკვერის მოწყობის პირობით. 2014 წელს მიწის ნაკვეთზე გაიცა მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობის ნებართვა, რომელიც გასაჩივრდა მოსახლეობის მიერ. სასამართლოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა ხუთი სართულის მშენებლობა ნაცვლად 16-სართულისა, რაზეც წინააღმდეგია როგორც მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, ასევე მოსახლეობაც. მომხსენებელმა განმარტა, რომ მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებლები ითხოვენ ამ მიწის ნაკვეთის გამწვანებას და რეკრეაციული ზონის მოწყობას. მომხსენებლის თქმით, აღნიშნულ ტერიტორიაზე რაიმე სახის მშენებლობის განხორციელებას მიზანშეწონილად, არც საბურთალოს რაიონის გამგეობა მიიჩნევს.

ქალბატონმა კვეტენაძემ ასევე განმარტა, რომ ახალი გენერალური გეგმით, მიწის ნაკვეთს შეეცვალა ფუნქციური ზონა და ნაცვლად საზოგადოებრივი ზონა 6-ისა (სზ- 6), **მიენიჭა სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სტატუსი,** რაც მესაკუთრეს არ აძლევს საშუალებას მიწის ნაკვეთი განავითაროს მის მიერ დაგეგმილ ფარგლებში. რაც შეეხება მიხეილ ლიბსკაიტეს მიერ სანაცვლოდ მოთხოვნილ 3191 კვ.მ. მიწის ნაკვეთს, მომხსენებლის თქმით, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პოზიციის მიხედვით, ტერიტორიის სამშენებლო განვითარება დასაშვებია განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში.

დასასრულს **ნინო კვეტენაძემ** აღნიშნა, რომ გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთები შეფასდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.

- ✓ ექპერტიზის დასკვნის მიხედვით, მიხეილ ლიბსკაიტეს საკუთრებაში არსებული 816 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 24 მაისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1196625 ლარის ოდენობით,
- ✓ ხოლო დიდი დიღმის დასახლებაში მდებარე 3191 კვ.მ. მიწის ნაკვეთი შეფასდა, შეფასების დროისთვის მასზე მოქმედი საცხოვრებელი ზონა 6-ის სტატუსით და 2019 წლის 11 იანვრის დასკვნით მისი საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 323 100 აშშ დოლარის ოდენობით, რაც იმ პერიოდის გაცვლითი კურსით ეროვნულ ვალუტაში შეადგენდა 861 869 ლარს. 06.06.19წ. №5003625519 წერილის მიხედვით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 2019 წლის 6 ივნისის

მდგომარეობით შესაბამისი გაცვლითი კურსის გათვალისწინებით შეადგენს 888525 ლარს.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა ავთანდილ ცინცაძემ განაცხადა, რომ მოქალაქე მიხეილ ლიბსკაიტეს მიერ სანაცვლოდ მოთხოვნილ 3191 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებაროებს ტერიტორიაზე, რომლის სამშენებლო განვითარებას აპროტესტებს მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა. ბატონი ავთოს თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით, მოქალაქე მიხეილ ლიბსკაიტე არაერთგზის იქნა გაფრთხილებული, თუმცა, მიუხედავად მოსახლეობის წინააღმდეგობისა, დაინტერესებული პირი ითხოვს 3191 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღებას, შემდგომში მისი სამშენებლოდ გამოყენების მიზნით.

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტის პირველ მუხლში უნდა მიეთითოს საპრივატიზებო საფასური - 310 000 (სამას ათი ათასი) ლარის ოდენობით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა - ავთანდილ ცინცაძემ,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქონების მართვის სააგენტოს, 2018 წლის 17 ოქტომბრის პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-428-26-22761 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს, 2018 წლის 17 ოქტომბრის პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის, კერძოდ „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში" გაუქმების საკითხს.

საკითხის წარმომდგენის თქმით, ტაბახმელაში მდებარე 1257 კვ.მ მიწის ნაკვეთი, (საკადასტრო კოდი: N81.02.21.601), მოქალაქე ვახტანგ თურნავამ (პ/ნ 01030036992) 2018 წელს შეიძინა

აუქციონის წესით, მიწის ნაკვეთის ჩარჩო გეგმის ფარგლებში სამშენებლო განვითარების პირობით. საკითხის წარმომდგენის თქმით, ვინაიდან თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შემდგომ, გენგეგმა არ ითვალისწინებს ტერიტორიების ჩარჩო გეგმის ფარგლებში განვითარებას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოიხსნას არსებული ქალაქგეგმარებითი შეზღუდვა.

დასასრულს, ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არსებულმა შეზღუდვამ გავლენა არ იქონია მიწის ნაკვეთის შეფასების ნაწილზე აუქციონით გასხვისებისას, ვინაიდან სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის მიერ მიწის ნაკვეთის შეფასებისას არ იქნა გათვალისწინებული არსებული ქალაქგეგმარებითი შეზღუდვა და 2018 წლის 6 სექტემბრის მდგომარეობით 1257 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 98 046 ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს" (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს" შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას..

საკითხის წარმომდგენის თქმით, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს" შორის 2011 წელს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, აღნიშნულ კომპანიას პირდაპირი განკარგვის ფორმით საკუთრებაში გადაეცა ქ.თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებული 4993 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებული 191832 კვ.მ მიწის ნაკვეთი და ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებული 3175 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები. მხარეთა შორის

გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მყიდველს დაეკისრა ვალდებულება 2016 წლის 31 აგვისტომდე საპრივატიზებო ტერიტორიაზე განეხორციელებინა არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია. შემდგომში, 2016 წელს, შეიცვალა საპრივატიზებო პირობები და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულება გადავადდა 2019 წლის 31 აგვისტომდე, ხელშეკრულების დანართით წარმოდგენილი შესასრულებელი სამუშაოების, მათი დასრულების ვადებისა და ინვესტიციის განხორციელების გეგმა-გრაფიკის მიხედვით. აღნიშნული გეგმა-გრაფიკი შეიცვალა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის N18.24.40 განკარგულების საფუძველზე, შედეგად, 2017 წლის ბოლომდე შესასრულებელი სამუშაოების ინვესტიციის ოდენობა 950 000 (ცხრაასორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარი შემცირდა 692 788 (ექვსასოთხმოცდათორმეტიათას შვიდასოთხმოცდარვა დოლარი) აშშ დოლარამდე; ხოლო, შემცირების შედეგად მიღებული სხვაობა - 257 212 (ორასორმოცდაჩვიდმეტიათას ორასთორმეტი) აშშ დოლარი გადანაწილდა 2018 წლის ბოლომდე და 2019 წლის 31 აგვისტომდე შესასრულებელი სამუშაოების ინვესტიციის ოდენობის შესაბამისად. ასევე, "შპს „გუდაური სქი რესორტი" გათავისუფლდა დანართით განსაზღვრული გეგმა - გრაფიკის მე-3 პუნქტის დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან.

მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნულ კომპანიას მოცემული ეტაპისთვის ფაქტობრივად შესრულებულია აქვს 2018 წლის ბოლომდე გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული სამუშაოების ჩამონათვალი, რაც დასტურდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექპერტიზის ბიუროს დასკვნით. მისივე თქმით, კომპანიას 2019 წლის 31 აგვისტომდე შესასრულებელი აქვს გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოები, რომელთა სამშენებლო საინვესტიციო ღირებულება შეადგენს არანაკლებ 2 450 000 აშშ დოლარს, ხოლო ტერიტორიის კეთილმოწყობასა და სარეაბილიტაციო ცენტრის მოწყობისთვის განსაზღვრულია 112 212 აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია. გეგმა-გრაფიკით ასევე გათვალისწინებულია 3 ვილის ექსპლუატაციაში მიღების ვალდებულება.

როგორც ქალბატონმა ნინომ განმარტა, საინვეტიციო ობიექტზე ვილების სამშენებლო სამუშაოები დააბრკოლა სსიპ - თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებებით გაცემულმა უარმა სამივე ვილის მშენებლობის ვადის გაგრძელებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილებები გასაჩივრებული იქნა კომპანიის მიერ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში. ქ. თბილისის მერის 2018 წლის 19 დეკემბრის N681 ბრძანებით, დაკმაყოფილდა შპს „გუდაური სქი რესორტის" დირექტორის ადმინისტრაციული საჩივრები და ბათილად იქნა ცნობილი არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებები და დაევალა არქიტეტქურის სამსახურს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდგომ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

მომხსენებლის განმარტებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ზემოთ მითითებულ ბრძანებაში ასევე აღნიშნულია, რომ 81.21.02.207 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის თბილისის წყალსაცავის შემოგარენის კვლევის არეალის, II სანიტარული ზონის პირველ და მეორე წყალდაცვით ზოლებში მოხვედრის მიუხედავად, კვლევის შედეგი ცხადყოფს, რომ მითითებულ ზოლებში საპროექტო ტერიტორიის განვითარება, გაცემული მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების გზით, არ წარმოადგენს აკრძალულ ქმედებას. შესაბამისად, თბილისის წყალსაცავის შემოგარენის არეალში ჩატარებული კვლევა და ამ კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები არ ქმნის საპროექტო მიწის ნაკვეთზე

არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის საფუძველს.

ქალბატონმა ნინომ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შპს „გუდაური სქი რესორტი" ითხოვს 2019 წლის 31 აგვისტომდე შესასრულებელი სამუშოებისა და ინვესტიციის განხორციელების ვადის გადავადებას 1 (ერთი) წლით, 2020 წლის 31 აგვისტომდე. ასევე, მოლაპარაკებების გამართვას ზღვის დონის აწევის შედეგად დატბორვას დაქვემდებარებული საინვესტიციო ტერიტორიის ნაწილთან დაკავშირებით.

დასასრულს, ქალბატონმა კვეტენაძემ განმარტა, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს" შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში, კერძოდ, იცვლება ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტი და საპრივატიზებო ტერიტორიებზე არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების ვადა 2019 წლის 31 აგვისტოს ნაცვლად, განისაზღვრება 2020 წლის 31 აგვისტომდე, შესაბამისად იცვლება ხელშეკრულების დანართით წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მე-5 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ზემო ვერა (N1)-ში არსებული 146 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 124 კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.15.02.060.032) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ.თბილისში, ზემო ვერაზე არსებული 146 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 124 კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობის, სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, სიმბოლური ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, სატრაპეზოსა და სველი წერტილების მოწყობის მიზნით.

ნინო კვეტენაძემ დაამატა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის განკარგვა, შემდგომში, მასზე სატრაპეზოს მოწყობის მიზნით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსასილველად.

მოისმინეს:

24. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.15.01.003.045; N01.15.06.001.061; N01.15.01.003.048; N01.15.06.001.060; N01.15.01.003.046; N01.15.06.002.021; N01.15.06.002.020 და N01.15.01.003.043 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, წინამდებარე კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების, სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, სიმბოლური ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, სამონასტრო კომპლექსის, ბიბლიოთეკასთან მისასვლელი გზების, სველი წერტილების, საეკლესიო მაღაზიის და ავტოსადგომის მოწყობის მიზნით.

ნინო კვეტენაძემ დაამატა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითრების საქალაქო სამსახურმა შესაძლებლად მიაჩნია ქ.თბილისში, მამა დავით გარეჯელის სახელობის სამონასტრო კომპლექსის გარშემო 1797კვ.მ მიწის ნაკვეთის საქართველოს საპატრიარქოსთვის საკუთრებაში გადაცემა, იმ განმარტებით რომ მითითებული ტერიტორიაზე ვრცელდება ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა, სადაც პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს ბუნებრივი ლანდშაფტების ისტორიულად შენარჩუნებული არეალების დაცვა.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, სასურველია, განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლები და პროექტის პირველ პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25-36. საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ - თინათინ ნიბლოშვილმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს, თბილისის სხვადასხვა რაიონებში ქუჩებისთვის ჭადრაკის დამსახურებული მწვრთნელისა და აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული გმირების სახელების მინიჭების შესახებ თორმეტი განკარგულების პროექტი წარუდგინა. კერძოდ:

"ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ჭადრაკის დამსახურებული მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის სახელის მინიჭების შესახებ"

„ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ავშნის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მალხაზ ჯღარკავას სახელის მინიჭების შესახებ"

„ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ავჭალის ქუჩასთან მდებარე ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის გეოლოგის არსენ ოქროჯანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ"

„ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ლამის ქუჩის მონაკვეთისთვის, ლამის I შესახვევისთვის და ლამის III შესახვევისთვის ლამის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ"

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, V ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის რევაზ ბებიას სახელის მინიჭების შესახებ"

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, V ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გელა მინდიკაურის სახელის მინიჭების შესახებ"

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ნოდარ (ვეფხო) მათიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ"

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ოთარ ოძელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ"

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ტარიელ გვიმრაძის ქუჩის გაგრძელების სახელის მინიჭების შესახებ"

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების შესახებ"

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მარშალ იოზეფ პილსუდსკის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზურაბ პატარაძის სახელის მინიჭების შესახებ"

„ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოფანე დავითაიას ქუჩასთან არსებული უსახელო მოედნისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ზურაბ პატარაძის ქუჩისთვის მარშალ იოზეფ პილსუდსკის სახელის მინიჭების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტები.

25. მომხსენებლის განმარტებით, საბურთალოს რაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ჭადრაკის დამსახურებული მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის სახელის მინიჭება განაპირობა, „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ დირექტორის მიერ კომისიაში წარდგენილმა განცხადებამ, სადაც განმცხადებელი ითხოვდა, რომ დედაქალაქში არსებულ ერთ-ერთ ქუჩას მინიჭებოდა ვახტანგ ქარსელაძის სახელი.

26. ასევე, ნაძალადევის რაიონში, ავშნის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მალხაზ ჯღარკავას სახელის მინიჭება განაპირობა, მოქალაქე მარგო კირთაძის მიერ წარდგენილმა წერილმა, სადაც იგი ითხოვდა თბილისის რომელიმე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული შვილის - მალხაზ ჯღარკავას სახელის მინიჭებას.

27. ქალბატონი თინათინის თქმით, სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურმა წერილობით მიმართა კომისიას, შესაბამისი უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, გლდანის რაიონში, ავჭალის ქუჩასთან მდებარე ქუჩას და მასთან არსებული ორ შესახვევს ენიჭება გეოლოგის- არსენ ოქროჯანაშვილის სახელი.

28. აგრეთვე, ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ლამის ქუჩის მონაკვეთისთვის, ლამის I შესახვევისთვის და ლამის III შესახვევისთვის ლამის ქუჩის სახელის მინიჭება განპირობებულია აღნიშნული ქუჩის გარკვეული მონაკვეთების სახელწოდებების ცვლილებასთან, სრულყოფილი დამისამართების მიზნით.

29. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, V ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის რევაზ ბებიას სახელის მინიჭება განპირობებულია მოქალაქე ლარისა კემულარიასა და ასევე, სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ, კომისიაში შემოსული წერილების საფუძველზე.

30. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, V ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გელა მინდიკაურის სახელის მინიჭება, მოქალაქე ცისანა ელიოზაშვილისა და ივანე მინდიკაურის წერილობითი თხოვნის საფუძველზე განხორციელდა.

31-32. ასევე, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, დიმიტრი ამილახვარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩებისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული თავდადებული გმირების, ნოდარ (ვეფხო) მათიაშვილისა და ოთარ ოძელაშვილის სახელების მინიჭება ითხოვეს, მოქალაქე მარიამ მათიაშვილმა და მოქალაქე ხატია ოძელაშვილმა, კომისიაში წარდგენილი წერილების საფუძველზე.

33. ქალბატონი თინათინის თქმით, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, საბურთალოს რაიონში, ტარიელ გვიმრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ტარიელ გვიმრაძის სახელის მინიჭება.

34. აგრეთვე, საბურთალოს რაიონში, ლისის ქუჩის გაგრძელებას, ხოლო, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებულ უსახელო ქუჩებს ენიჭება: ბზის, ნეკერჩხლის, ლისის იასამნების სახელი, მოქალაქე ლევან ბაშინურიძის წერილობითი მომართვის საფუძველზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის მიმდებარე ქუჩები ატარებს ხე-მცენარეთა სახელს.

35 – 36. დასასრულს, **საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, რომ საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოსთან კონსულტაციების შემდგომ, კომისიის გადაწყვეტილებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ისნის რაიონში, თეოფანე დავითაიას ქუჩასთან მდებარე მოედანს, მასთან არსებულ უსახელო ქუჩას და ზურაბ პატარიძის ქუჩას, რომელიც აღნიშნულ გეოგრაფიულ ობიექტებს შორის მდებარეობას, მიენიჭოს მარშალ იოზეფ პილსუდსკის სახელი, ხოლო, ზურაბ პატარიძის სახელი დაერქმევა იოზეფ პილსუდსკის ქუჩასთან მდებარე სხვა უსახელო ქუჩას.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, მიზანშეწონილია, ყველა განკარგულების პროექტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა და მიღების თარიღად, **ნაცვლად „ივნისი“-სა მიეთითოს: „აგვისტო“**. ამასთან, სასურველია, გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტში და **ნაცვლად „სახელის“-ა მიეთითოს „სახელების“**.

თავმჯდომარემ იქვე დასძინა, რომ მიზანშეწონილია, განკარგულების **„ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ტარიელ გვიმრაძის ქუჩის გაგრძელების სახელის მინიჭების შესახებ“** სათაური მითითებულ იქნას შემდეგი სახით: <u>„ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ტარიელ გვიმრაძის ქუჩის გაგრძელებისთვის სახელის მინიჭების შესახებ“.</u>

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულებების პროექტებს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე	ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი	ნინო ჯალაღანია